# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.**
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.
**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ოთხშაბათი 20 აგვისტო

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 133 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 133

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

## უ დ ი დ ე ს ი

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

### კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად სალავათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო. ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა,** რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძ ლ ი ე რ  ი ა ფ ა თ.** აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

**კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:**

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . „ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . . „ 3 შაური.
7. მისივე. ისლამი. . . , . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისივე მოკლე გრამატიკა . . . . „ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . „ 10 შ.
5. მღ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . „ 2 „.
6. ალ. ჭიჭინაძე. გეოგრაფია . . . . „ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორების მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

აზნაურნი გრიგოლ, ექიმები კონსტანტინე (იგივე გულა) და სიმონ ალექსის ძენი ჩიქოვანები და დანი ამათნი: ნინო, ეკატირინე და ეფეფია (იგივე დადუ), სიძეები: თ-დი დომენტი ფარნაოზის ძე ნიჟარაძე და აზნაური სპირიდონ ონისიმეს ძე მგალობლიშვილი შვილებითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასის დედისას, მეორენი სიდედრის, ხოლო მესამენი ბებიის

### ქეთევან ალექსანდრეს ასული ჩიქოვანისას

გამოსვენება დანიშნულია ოთხშაბათს, 20 მარიამობისთვეს, დილის 9 საათზე, მესხეთის ქ., ელიზბარ ჩიქოვანის სახლიდან. ცხედარს წამოასვენებენ ს. ხუნწში და დაასაფლავებენ 22 მარიამობისთვეს, პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე.

15 ამა აგვისტოს გარდაიცვალა სოფ. კიწიაში დამსახურებული დეკანოზი

### სამსონ ნიკოლოზის ძე ანჯაფარიძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები: ნესტორ სამსონის ძე ანჯაფარიძე, პარასკევა სამსონის ასული ქავთარაძისა და კნეინა ალათი სამსონის ასული დგებუაძისა; რძალი: მარიამ მალაქიას ასული ანჯაფარიძისა; სიძე: თ-დი ნიკოლოზ (გუია) ევგენის ძე დგებუაძე და შვილიშვილი —ნაფ. ვექილის თანაშემწე გიორგი ნესტორის ძე ანჯაფარიძე მეუღლითურთ. გამოსვენება და უკანასკნელი გამოთხოვება დანიშნულია 21 ამა აგვისტოს, დღით ხუთშაბათს სოფ. კიწიაში (სენაკის მაზრა) წირვის შემდეგ.

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

თავადი **დავ. ოტ. ნიჟარაძე**

სთხოვს ქუთაისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთ მობრძანდენ საგანგებო

## კ რ ე ბ ა ზ ე დ

დასასწრებლად, რომელიც არის დანიშნული 24 აგვისტოს, 1914 წ. 11 საათზე, დეპუტატ საკრებულოს დარბაზში, განსახილველად მლიერ საყურადღებო კითხვებისა.

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

## ძ რ ი ე ლ  ი ა ფ ა თ

იყიდება ერთი ცხენის შესაბამი ეტლი

ყოველივე მოწყობილობით, გარდა ცხენისა.

პირობების გაცნობა შეიძლება წერეთლის სახლში. ოლდენბურგის ქუჩა, № 14.

ექიმის იკ. ბოკერიას

## ს ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

**ექიმი** გრიგოლ ალშიბაია უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

**ექიმი** მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9–12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი

**ექიმის** გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სალ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და სალ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**ექიმი** გ. დ. ნასარიძე დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბოვშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

ქ. ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს  ე ქ ი მ ი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. სალ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. ზ. მოსეშვილი ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**ექიმი** ი. ა. ცეხანოვსკი გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., სალ. 5— 8 საათ.

**დამეკარგა ატტესტატი 471,**

ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

შეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**ურგა.** 16 აგვისტო. კიახტის კონფერენციაზე მოსალაპარაკებლად გამოგზავნილი რწმუნებული მინისტრ-პრეზიდენტი საინნოიხანი უეცრად ავად გახდა, როგორც მონგოლები ამბობენ, მისი მორჩენის იმედი არ აქვთ. დიპლომატიური აგენტისა, საელჩოს მოხელეთა და აფიცერთა თანადასწრებით ყველა სარწმუნოების რუსებმა გადაიხადეს პარაკლისი რუსეთის მხედრობის გამარჯვებისათვის. პარაკლისს შემდეგ შეიკრიბენ დიპლომატიური სააგენტოს ბინაზე და განაცხადეს უქვეშევრდომილესი გრძნობანი მონარქისადმი და აღთქმა, გაიღონ შემოწირულებანი მეომართა ოჯახთათვის, ვიდრე არ გათავდება ომი.

**კოპენჰაგენი.** 18 აგვისტო. დეპეშით იტყობინებიინ ვენიდან, რომ გენერალური შტაბის კაპიტანი გროსმანი ჩამოვარდნილა აეროპლანიდან და მომკვდარა. ირგანნისტალიდან იტყობინებიან, რომ ორი მფრინავი, რომელთაც გამართეს საცდელი ფრინვა, ჩამოვარდენ ძირს აპარატითურთ და მოკვდენ.

**ახალქალაქი.** 17 აგვისტო. სამ დღეს კიდევ იყო სუსტი მიწისძვრა.

**პეტერბურგი.** 17 აგვისტო. სააგენტომ მიიღო ცნობები, რომ ნოვოჩერკასკში კაზაკმა პარამონოვმა და მისმა ძმამ შესწირეს 300,000 მან. დონის ოლქში 300 საწოლიანი ლაზარეთის ასაშენებლათ. სიმფეროპოლში მაჰმადიანთა საზოგადოებამ შესწირა 100,000 მან. ლაზარეთის ასაშენებლათ. პრეევალის მაზრიდან დიდი შეწირულობა გაიღეს და დაადგინეს, რომ თითო იუარტამ კიდევ ათი შაური გადაიხადოს. ვერნენისა და დეპსინის მაზრებში დიდი შეწირულობა შეიკრიბა და ეხმარებიან პურის მკის დროს გაწვეულთა ოჯახებს, დიდი შეწირულობა შემოდის ჩინეთის ქვეშევრდომთაგან, რომლებიც ცხოვრობენ სარატოვში. პრეევალისა და ზღვის პირის ოლქებში სასოფლო საზოგადოებანი სწირავენ ზოგი ასს, ზოგი ხუთას მანეთს. დიდი ფული შემოსწირეს ამურის მეთევზეებმა. სამხრეთ დასავლეთის შაქრის მწარმოებელნი აშენებენ ლაზარეთს. მემამულემ რენევიჩმა გარდასცა წითელ ჯვარს 20 საწოლიანი ლაზარეთი, ყველაფრით მზა. ვარშავაში რუსთა საზოგადოებამ გადასდვა 15,000 მან. და გარდასცა 5 ოთახი წითელი ჯვრის განკარგულებაში. არის შეწირულობანი სხვა ქალაქებშიაც.

**პარიზი.** 18 აგვისტო. სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა საღამოს შემდეგი ცნობა: საზოგადო მდგომარეობა დილიდან არ შეცვლილა. ბრძოლა ცოტა ხანს იყო შეწყვეტილი და კვლავ დაიწყო ვოგეზებზე და ლოტარინგიაში მაასზე დენის ახლოს. მტრის ქვეითი რაზმი, რომელიც ცდილობდა მდინარეზე გადმოსვლას, თითქმის მთლად გაწყდა. ჩვენი წინ წინწაწევა შეჩერდა, რადგან გერმანელთა ჯარის ფრთა შემოევლება.

**ლონდონი.** 17 აგვისტო. 17 აგვისტოს ახალშენთა სამინისტროს მოუვიდა ცნობა, რომ საომარ გერმანულ კუნძულებზე აპია დანებდა ახალ ზელანდიის ვუბერნატორის მიერ გაგზავნილ რაზმს.

**პარიზი.** 17 აგვისტო. გერმანიის აეროპლანი დაფრინავდა ქალაქს ზევით და გადმოაგდო რამდენიმე ყუმბარა, რომლისგანაც არაფერი დაზიანებულა-რა. ვაშინგტონიდან დეპეშით იტყობინებიან, რო გენერალი ლიმანფონ სანდერსი დაუნიშნავსთ სარდლათ ევროპის. ოსმალეთში.

**კოპენჰაგენი.** 17 აგვისტო. ადგილობრივ დიპლომატიურ წრეებს მოუვიდათ ნამდვილი კნობა, რომ გერმანელებს მიყავსთ ჯარები დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, რომ გააძლიერონ აღმოსავლეთის ჯარი რუსების შესაჩერებლად,

**პარიზი.** 17 აგვისტო. სამხედრო მინისტრმა მოახდინა განკარგულება, ახლავე გაიწვიონ 1913 წლისათვის გასაწვევი ჯარისკაცები, აგრეთვე აგრეწოდებული აქტიური რეზერვი და უძველესი რიგის სათადარიგონი, რომელნიც უკვე დათხოვნილი იყვნენ.

**ლონდონი.** 16 აგვისტოს ანტვერპენიდან ატყობინებენ, რომ წინა დღეს ღამით სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილოაღმოსავლეთისკენ გაიარა 160 მატარებლით გერმანელი ჯარის მთელმა კორპუსმა იარაღითა და სურსათით. ფიქრობენ, რომ რუსების სწრაფმა წინწაწევამ აიძულა გერმანელები გადაეყვანათ თავის ჯარის ნაწილი მაასის მიდამოდან რუსეთთან საომარი მოედნისკენ. აგრეთვე იციან, რომ ჯარის რაოდენობა ბელგიაში ძლიერ შემცირებულია.

**ლონდონი.** 18 აგვისტო. ბეჭდვითი ბიურო აცხადებს: 10—13 აგვისტ. ინგლისის ჯარებმა შეარჩინეს პოზიციები, თუმცა 6,000 დააკლდათ, გერმანელების ზარალი კიდევ მეტია. 13 აგვისტოდან ინგლისის ჯარი ისვენებს. მას მოემატა მაშველი ჯარი, რომელმაც ერთი ორად შეავსო, რაც დააკლდა. ხანგრძლივი წინააღმდეგობა, რომელიც მოკავშირეებმა გაუწიეს მტრის საუკეთესო ჯარებს, მომასწავებელია მოკავშირეთა საბოლოო გამარჯვებისა.

**ლონდონი.** 18 აგვისტო. „დეილიმელს“ ატყობინებენ დეპეშით დიენნიდან: ადგალობრივი სუბპრეფექტურის კანცელიარიამ გამოაქვეყნა, გენერალ პოს ჯარებმა მთლად გასწყვიტეს გერმანიის ჯარის მთელი კორპუსი. ადგილობრივი გაზეთები ამბობენ საკუთარი კორესპონდენტებისაგან მოწოდებთლ ცნობათა თანახმად: მოკავშირე ჯარების მდგომარეობა საფრანგეთში ახლა ბევრათ უკეთესია. შესაძლებელია მოკავშირეებმა თვითონ მიიტანონ იერიში გერმანელებზე და, იქნება, უკვე კიდევაც დაიწყეს იერიშის მიტანაო.

**პეტერბურგი.** 18 აგვისტო. ომის დაწყებიდან 18 აგვისტომდე წითელი ჯვრის უმთავრეს გამგეობის კასაში შემოვიდა შემოწირულება 772,650 მან. წითელი ჯვრის უმთავრესმა გამგეობამ სასურველად სცნო, შეადგინოს ჰრილობის შემხვევი და სურსათის მიმწოდებელი რაზმები, რომელთაც პირდაპირ ბრძოლის ველზე უნდა იმუშაონ. უკვე შეუდგენ ორ ამგვარ რაზმის მოწყობას. რაზმის შემადგენელობა ეწყობა ოთხის ვაგონის დახმარებით. მოსკოვ-ყაზანის რკინის გზამ ამ მიზნისთვის დაუთმო 72 ვაგონი.

**სოფია.** 18 აგვისტო. ღამით 1-სა და 2 საათს შუა,—გრინვიჩის დროით,—მეტეოროლოგიურ სადგურის პლევნის აბსერვატორიამ შეუიარაღებელის თვალით შეამჩნია ახალი კომეტა. დახრა 58°, პირდაპირი, აღსვლა—120°.

**ნიში.** 18 აგვ. სერბიის პრესსბიურო აცხადებს: ვენის ბეჭვდითი სიტყვის ბიურომ გვაუწყა, რომ ავსტრიელებმა ტყვეთ წაიყვანეს 400 სერბიელი, რომელნიც არადში გაგზავნესო. ნამდვილათ კი ავსტრიელებმა შაბაცში დაატყვევეს მხოლოდ 60-დე კაცი და გაქლიტეს კიდეც. როდესაც ავსტრიელებმა სერბიის ტერიტორია მიატოვეს, თან არადში ბევრი მცხოვრები წაიყვანეს, რომელთაც, ალბათ, სერბიელ ტყვეებს უწოდებენო.

**კოპენჰაგენი.** 18 აგვისტო. ბერლინში გამოაქვეყნეს შემდეგი ოფიციალური ცნობა: მტერ-სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს ამიერიდან იმდენათ ეძლევათ ნება გერმანიიდან გასვლისა, რამდენათაც ისინი აძლევენ ნებას გერმანიის ქვეშევრდომებს. ამგვარად რუსეთის ქვეშევრდომებს რომელთაც სამხედრო ბეგარა არა აქვთ მოსახდელი, შეუძლიანთ სამზღვარგარეთ გავიდენ; ამასთანავე იმათ, ვინც მოინდომებს წასვლას დანიისა და შვეციის გზით, გერმანიის მთავრობა შეძლებისადაგვარად დახმარებას გაუწევსო.

**ლონდონი.** 18 აგვისტო. გენტიდან იუწყებიან, რომ გრანიბონში დეპეშების გაგზავნა აღდგენილ იქნა. მიდამოები მტრებისაგან განთავისუფლდა. ანტვერპენისკენ რკინის გზის მიმოსვლა წესიერად სწარმოებს, მაგრამ სამხედრო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რაც შეიძლება, შეამცირონ სამგზავრო ბილეთების რიცხვი ანტვერპენისათვის, რომ ქალაქს ბევრი მგზავრი არ მიაწყდეს და ჯაშუშებიც არ შეიპარონო. გენტის სამოქალაქო გვარდიის ერთი ნაწილი გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში.

**სოფია.** 18 აგვისტო. ათინაში მყოფმა ბულგარიის ელჩმა და საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერეს იმ შეთანხმებას, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ადგილ ოქჩილარის საზღვრების შესახებ დავა.

**ლონდონი.** 18 აგვისტო. ლუვენის დაწვის გამო, ინგლისის პრესა სასტიკათ ჰგმობს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს გერმანელთა მხეცურსა და ბარბაროსულ საქციელს და ამბობს, რომ ასეთი მათი ვანდალიზმი სასტიკათ უნდა დაისაჯოს, როდესაც მოკავშირენი გაიმარჯვებენო. „ტაიმს“-ი ბეჭდავს კერძო პირების აღშფოთებულ წერილებს. ავტორები ამ წერილისა ამბობენ, რომ, როდესაც ვილჰელმი დამარცხდება, იგი დამწყვდეულ უნდა იქნეს ან შემაკისა და ან წმ. ელენეს კუნძულებზეო. ბილონიდან დეპეშით იუწყებიან, 7 აგვისტოს თარიღით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვეულებრივათ მიმდინარეობსო. ქალაქის მიდამოებში გერმანელები არ არიან. შუა პროვინციებიდან მოსულნი იუწყებიან, რომ საფრანგეთის ჯარმა ცუეში მოიმწყვდია გერმანელთა დიდი რაზმი და ამოჟლიტა. ოსტენდეშიაც მშვიდობიანობაა. ქალაქში სამხედრო წესები შემოიღეს.

**პეტერბურგი.** 18 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, რომ ამიერიდან ქალაქ **პეტერბურგს** დაერქვას სახელი **პეტროგრადი**.

**პეტროგრადი.** საფრანგეთის ნაღმოსანმა გზის მომჭრელმა გემმა „პლუტონ“-მა შერბურგის მახლობლათ შეიპყრო ავსტრიის გემი „დიიამო“, რომელსაც უფროსობდა ავსტრიის ფლოტი „ლეიტენანტი“. გემს დიდძალი შერია და ხორბალი მოჰქონდა. საესკადრო ნაღმოსანის „პეკტიუზიანის“ ზედამხედველობით დატყვევებული გემი გავში მიიყვანეს.

**პეტერბურგი.** 18 აგვისტო. ნაშუადღევის სამ საათზე, საზამთრო სასახლეში, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასულის პირადის თავჯდომარეობით გაიხსნა პირველი კრება უმაღლესის საბჭოისა. ეს საბჭო დაარსებულია უმაღლესის ბრძანებით მთავრობისა, საზოგადოებისა და კერძო მოღვაწეობის შესაერთებლათ ჯარში გაწვეულთა, დაჭრილთა და ბრძოლის ველზე დახოცილთა ოჯახების დახმარების საქმეში. როცა ხელმწიფა იმპერატრიცამ კეთილ ინება და მობრძანდა, მას თან ახლდენ საბჭოს უავგუსტოესი ვიცე თავჯდომარენი დიდი მთავრინანი—ელისაბედ თედორეს ასული და ოლღა ნიკოლოზის ასული. სასახლის ეკლესიაში გადახდილ პარაკლისის შემდეგ, გაიხსნა კრება უმაღლესის საბჭოისა. ხელმწიფა იმპერატრიცამ კეთილ ინება და მაგიდასთან ადგილი დაიჭირა; მარჯვნივ ახლდა დიდი მთავარინა ელისაბედ თედორეს ასული, მარცხნივ—დიდი მთავრინა ოლგა ნიკოლოზის ასული. ხელმწიფა იმპერატრიცას პირდაპირ ადგილი დაიჭირა სტატს სეკრეტარმა გორემიკინმა. უავგუსტოესმა თავჯდომარემ უმაღლესის საბჭოისამ—ხელმწიფა იმპერატრიცამ შემდეგის სიტყვით მიმართა იქ დამსწრეთ: „ზრუნვა უპატრონო და მკვებავთა მიერ მიტოვებულ ოჯახებისა წევრებზე ყველას გულისთქმას შეადგენს ყველგან საზოგადოებრივი ძალები და კერძო პირნი მეგობრულად შეერთდენ, რომ დაიხსნან გაჭირვებისაგან ოჯახები ჩვენის სამშობლოის სახელოვან დამცველებისა. ამ მოქმედების შესაერთებლათა და, თუ საჭიროა, გასაძლიერებლათაც ხელმწიფე იმპერატორმა ჩემის თავჯდომარეობით დააარსა ესე უმაღლესი საბჭო. მე ვიცი, რომ ყველა აქ შეკრებილნი ერთი სულითა და გულით ვიმედოვნებთ, რომ ღმერთი აკურთხებს ჩვენ დაწყებულ საქმეს. საბჭოის პირველი კრება გახსნილად გამომიცხადებია“.

**ლუცკი.** 16 აგვისტო. კამენკაში ტყვედ დაჭერილი 118 ავსტრიელი აფიცერი გამოატარეს.

**კიევი.** 18 აგვისტო. აქ მოჰყავთ მრავალ-რიცხოვანი პარტიები როგორც რუსების, ისე ავსტრიელ დაჭრილებისა. უკანასკნელმა ორმა მატარებელმა 800 ავსტრიელი მოიყვანა.

**ალექსანდროვსკი.** 18 აგვისტო. სედოვის ექსპედიციის წევრი, მხატვარი პინეგოვი (?), მდ. მურმანზე მდებარე ხარლოვკიდან დეპეშით იუწყება, რომ 20 თებერვალს ,,კრონ-პრინცის რუდოლფის მიწაზე“ სედოვი გარდაიცვალაო.

**ნიში.** 18 აგვისტო. ცერე-იადართან მომხდარ ბრძოლაში, რომელიც სერბიელების გამარჯვებით დასრულდა, მონაწილეობას იღებდა გენერალ გარიბალდისაგან გამოგზავნილი 8 გარიბალდიელი. 5 მათგანი მოკლულ იქნა.

**პეტროგრადი.** ღამით, 18 აგვისტოს, ცარსკოე სელოში მოვიდა მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობის სასანიტარო მატარებელი და ბრძოლის ველიდან მოიყვანა დაჭრილი აფიცრები და ჯარის კაცები. დილით სადგურზე მობრძანდენ ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავრინა ოლღა ნიკოლოზის ასული მისმა უდიდებულესობამ და მათმა იმპერატორებითი უმაღლესობამ ინახულეს დაჭრილები და უმოწყალესის გამოკითხვით გააბედნიერეს.

ბაქოს ნავთის მწარმოებელ საბჭოს მიერ დაარსებულ კაუფმანის მეორე გოსპიტლის. ომში მიმავალ პერსონალს ბედნიერება ჰქონდა წარსდგომოდა რუსეთის საზოგადოების წითელი ჯვრის მფარველს ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულს.

შემდეგ სტატს სეკრეტარმა გორემიკინმა აუწყა საბჭოს წევრებს მიზანი მომავალის მოქმედებისა. ეს მიზანი ორგვარია: შეერთება უკვე არსებულ დაწესებულებათა გაჭივრებულ ოჯახთა დასახმარებლად და აღმოჩენა წყაროებისა და საშუალებათა ამავე საქმისათვის. შემდეგ კრებას ეუწყა საქმის მდგომარეობა ანგარიშებისამებრ შინაგან საქმეთა ფინანსთა, გზათა და მიწათ მოქმედების მინისტრებისა და ობერ-პროკურორისა. დასასრულ თავჯდომარემ კრებას წინადადება მისცა დაარსებულ იქნას დამფუძნებელი საფინანსო კომისია.

**ლონდონი.** 18 აგვისტო. ბეჭდითი ბიურომ გამოაქვეყნა დაწვრილებითი ანგარიში გელგოლანდთან ზღვაზე მომხდარ ბრძოლისა.

ბრძოლაში უმთავრესი როლი მჩატე კრეისერმა „არეტუზე“-მ ითამაშა, საომარ ტაქტიკას საფუძვლათ სწრაფი იერიში ედო.

კონტრ ნაღმოსნებმა გერმანელთა ფლოტის მთავარ ძალას წვრილი გემები ჩამოაშორა და გაშლილ ზღვაში მათ ბრძოლა გაუმართა. გემ „არეტუზე-“ზე, რომელიც წინ მოდიოდა, გერმანელების კრეისერებმა პირველი იერიში მიიტანეს, 3000 იარდის მანძილზე გაჩაღდა საშინელი ბრძოლა, რომელმაც ნახევარ საათს გასტანა. დაზიანებულმა არეტუზემ მაინც მოიგერია გერმანელთა იერიში და პირიქით მტერს დაუზიანა გემები. შემდეგ „არეტუზე“ ორ სხვა კრეისერს შეებრძოლა, ამას გარდა კრეისერ „ფორლეს“-თან ერთად მან მონაწილეობა მიიღო მჩატე კრეისერთა ესკადრასთან ბრძოლაში და დასძირა გერმანელების კრეისერი „მაინც“-ი. ყველა ამას შემდეგ ძალზე დაზიანებულ „არეტუზე“-ს კინაღამ თავს დაასხა გერმანელთა ორი კრეისერი, მაგრამ ამ დროს „არეტუზა“-ს ინგლისელთა ორი კრეისერი მოეშველა, რომელიც დაედევნა თავდამცემლებს და დაუღუპა ორივე კრეისერები. „არეტუზე“-ს გმირული მოქმედება მით უფრო საქებარი, ასე რომ იგი ზღვაში გასული იყო ომის დაწყებამდე. თუმცა ინგლისელების გემებიდან გერმანელთა ორი კონტრ ნაღმოსანის დაღუპვა შეამჩნიეს, მაგრამ ნამდვილათ კი, მტრის იმ ოცი კრეისერიდან, რომელიც ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა, უმრავლესობა ძალზე დაზიანდა და თავს მხოლოდ გაქცევით უშველა. ამ ბრძოლამ ინგლისელთა საზღვაო არტილერიის უპირატესობა დაგვანახა. არტილერიის ცეცხლით და ნაღმებით ინგლისელების კონტრ ნაღმოსნებმა სერიოზული საფრთხე განიცადეს. კონტრ ნაღმოსანს „დეფდერ“-ს, რომელიც დაჭრილებს ეშველებოდა, წამოეწია გერმანელების კრეისერი, რის გამოც „დეფდერ“-ი იძულებული შეიქნა დატოვებია საშველი ნავები და მიმალულიყო. მხოლოდ ინგლისის შემდეგ მოსულმა წყალ-ქვეშ მომავალმა ნავმა გადაარჩინა დატოვებული ნავები და შიგ მსხდომნიც. სულ დაიღუპა გერმანიის 5 გემი. გემების შემადგენლობიდან დაიღუპა სამას კაცამდე. გერმანელთა ზარალი სხვა გემებზეც დიდია.

**პერინი.** ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ გენერალი სანდერსი ოსმალეთის ჯარების უმფროსათ დაინიშნაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**იმპერატორი ფრანც.-იოსები.**

პარიზში ხმა გავრცელდა, რომ იმპერატორი ფრანც-იოსები უკანასკნელ დღეშია. ავსტრიის მემკვიდრე ერცჰერცოგი კარლ-ფრანც-იოსები მომქმედ ჯარში წავიდა გალიციაში.

**როგორ დაიღუპა ინგლისური გემი.**

ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილია აღწერილობა იმისა, [illegible] ინგლისური გემი ,,ამფიონი“. ეს კრეისერი გერმანელების [illegible] ნაღმს დაეჯახა. გადარჩენილ მეზღვაურს უთქვამს, რომ აფეთქების დროს იგი ტრიუმში იმყოფებოდა. აფეთქებისაგან ნაფოტებადაა ქცეული მთელი წინა ნაწილი გემისა. ვინც კი იმ დროს იქ იყო, ერთბაშად დაიღუპა. პირველ აფეთქებას მაშინვე მეორე და მესამე მოჰყვა. გადარჩენილები ნავებში გადასხდენ. იქვე გადაიყვანეს დაჭრილები. კრეისერის სრულს ჩაძირვამდე თოფის წამლის საწყობი აფეთქდა. ამ უკანასკნელმა აფეთქებამ ნაფოტებად აქცია მთელი გემი. ნატეხებმა მოჰკლა კიდევ რამდენიმე კაცი, რომლებიც უკვე ნავში ისხდენ.

**ოსმალეთი.**

სულთანმა ირადე გამოსცა, რომლითაც მოაგონებს ჯარებს, რომ მალე დადგება ჟამი ოსმალეთის შელახული სახელის აღსადგენადო.

ოსმალეთის ჯარის მთავარსარდლის თანაშემწე ენვერ-ფაშამ მოწოდება გამოსცა ჯარისადმი და აქეზებს ომისთვის: ჯარისთვის და ერისათვის წინსვლა ხსნაა, უკან დახევა—დაღუპვა; ჩვენ უნდა წინ მივდიოდეთ მუდამ, რაც უნდა ძლიერი ცეცხლი შეგვხვდესო.

გერმანიის სიყვარული თანდათან ძლიერდება. გაზეთი „საბაჰ“ სწერს: იმ ისტორიულ დღეს, როცა ოსმალეთს ვერაგულად წაართვა ინგლისმა ორი დრედნოუტი, გერმანიამ დაუთმო მას თავისი ორი სამხედრო გემი; ამას ოსმალეთი არასოდეს არ დაივიწყებსო.

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის თოფხანები დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობენ.

საბერძნეთიდან მიღებულ ცნობით თუ, ოსმალეთს ომი მოუხდა რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, ყველა ამ სახელმწიფოს ბანკის ფულებს ხელში ჩაიგდებს. ამ ჟამად მარტო ერთ ოტომანის ბანკში 50 მილიონია ევროპიელების ფული.

**პოლონელი შევარდნები.**

ოფიციალურის ცნობით, ავსტრიის ჯარში აღმოჩენილ შევარდნების ორგანიზაცია მოუწყვია ავსტრიის რეიხსრატის დეპუტატს, პოლონელ სოციალდემოკრატს დაშინსკის.

**რუმინია და რუსეთი.**

,,რუს. სლ.“-ატყობინებენ, რომ რუმინიის მეფემ კარლომ ბრძანება გასცა, რომ ოთხი კორპუსი მიიყვანონ რუსეთის საზღვარზე. მინისტრ-პრეზიდენტმა უარი სთქვა ამის შესრულებაზე. მეფე დაემუქრა, სამხედრო წესებს გამოვაცხადებო.

**მონაკოს პრინცი.**

მონაკოს მემკვიდრე პრინცი, კავალერიის ლეიტენანტი, სამხედრო მთავრობის ნებართვით საფრანგეთის ჯარში მიიღეს. პრინცი კაპიტნის ჩინით არტილერიაში ჩაირიცხა.

## ინგლისის ლურჯი წიგნი.

ინგლისის მთავრობამ გამოსცა „ლურჯი წიგნი“, რომელშიაც თავმოყრილია 159 დოკუმენტი, რომლებიც ომის წინასწარ მოლაპარაკებას ეხებიან სახელმწიფოთა შორის.

12 ივლისს ინგლისის ელჩი პეტერბურგში ატყობინებს გრეის, რომ საზონოვს მასთან მოლაპარაკება ჰქონდა, რომელშიაც გამოსთქვა, რომ ავსტრიის ზომები არსებითად რუსეთის წინააღმდეგ არის მიღებულიო. საზონოვმა დაუმატა, რომ არა სჯერა, რომ გერმანია მოსურნე იყოს ომისა, მაგრამ ომის აცილებაც შესაძლებელია, თუ კი ინგლისი თავის მეგობრებს ამოუდგება გვერდში, სამწუხაროდ, განაცხადა საზონოვმა, გერმანია დარწმუნებულია, რომ ინგლისი ნეიტრალურად დარჩებაო.

იმავ დღეს გერმანიის საგარეო მინისტრმა განუცხადა ინგლისის ბერლინელ ელჩს, რომ ავსტრო-უნგრეთს სერბიის დასჯა სურს და ომის გზას დაადგაო. მინისტრმა მნიშვნელოვანად დასძინა, რომ სერბიის მთავრობა ვერ „გადაყლაპავს იმ აბებს“, რომელიც თან სდევს ავსტრიის მოთხოვნილებას.

იმავ დროს ინგლისის ელჩმა რომში დეპეშით აცნობა სერ გრეის, რომ სერბიის ავსტრიის ნოტაზედ სრულ დაყაბულებას თუ შეუძლიან უკანასკნელის შე-

ჩერება. ამ ცნობას ინგლისის ელჩი თან სძენდა: ,,სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობები უფლებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ავსტრიას სალონიკის რკინის გზის ჩაგდება სურს ხელშიო.

ამ დროს კი რუსეთი ურჩევდა სერბიის მთავრობას უდიდესი ზომიერება გამოეჩინა ავსტრიის მიმართ.

13 ივლისს ინგლისის ელჩი ვენაში ატყობინებს გრეის, რომ გერმანიის ელჩი ვენაში, ფონ-ჩირშვი დარწმუნებულია, რომ რუსეთი არავითარ ზომას არ მიმართავს, თუ ავსტრია სერბიის დასჯას შეუდგა. რუსეთი არ იკისრებს საქმეში ჩარევას, რადგანაც ამ ჩარევას შეიძლება თან მოჰყვეს ქარიშხალი—პოლონურ, რუსინულ, რუმინულ და სპარსულ საკითხებისა. საფრანგეთს კი—დაუმატა ჩირშკიმ—ომის თავი არა აქვსო.

14 ივლისს ინგლისის ელჩი ვენაში ატყობინებს გრეის, რომ ავსტრიის ნოტა იმ ანგარიშით არის შედგენილი, რომ აუცილებლად ომი მოჰყვეს.

იმავ დღეს სერ ედუარდ გრეიმ წინადადებით მიმართა გერმანიას, საფრანგეთს და იტალიას—მიემხრონ ინგლისს, რომ ყველამ ერთად შუამავლობა იკისრონ. გერმანიის საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა უარით უპასუხა.

15 ივლისს რუსეთის ელჩმა ლონდონში შეატყობინა გრეის, რომ პეტერბურგი თანახმაა მიიღოს ყველანაირი წინადადება, რომელიც საქმეს მშვიდობიანათ დაამთავრებს.

14 ივლისს ავსტრიას შეატყობინეს, რომ თუ ომი მოხდა, ამ უკანასკნელის ლოკალიზაცია ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც რუსეთი არას დასთმობს, როგორც ეს იყო 1909 წელს.

მიუხედავათ ასეთის დეკლარაციისა, ავსტრიამ მაინც გამოუცხადა ომი სერბიას, რადგანაც მას ძველებურად სჯეროდა, რომ რუსეთი ომში არ ჩაერევოდა.

გამწვავების თავიდან ასაცილებლათ, რუსეთმა სურვილი გამოსთქვა ლონდონში კონფერენციის მოწვევისა. ავსტრიამ უარი სთქვა.

16 ივლისს სერ ედუარდ გრეიმ აშკარად განუცხადა გერმანიის ელჩს ლონდონში: „თუ გერმანია ომს დაიწყებს, მდგომარეობა განსაკუთრებით საშიში შეიქნებაო“. გრეიმ აუხსნა თავად ლიხნოვსკის, რომ მეგობრულმა კილომ არ უნდა აფიქრებიოს მას, რომ ინგლისი განზე გადგება მოსალოდნელ ომის დროს.

მიუხედავად ამისა გერმანია მაინც ავრცელებდა ხმას, რომ ინგლისი მძულვარებით შესცქერის ყოველნაირ ომს. ეს მეტადრე აშკარათ სჩანს იმ წინადადებიდან, რომლითაც მიმართა 16 ივლისს იმპერიის კანცლერმა ინგლისის ელჩს. ინგლისის ბერლინელი ელჩი ასე აგვიწერს თავის შეხვედრას იმპერიის კანცლერთან:

„კანცლერი რომ პოტსდამიდან დაბრუნდა, მთხოვა მენახულა. მან მითხრა, რომ თუ რუსეთი ავსტრიას დაეცა, ევროპის ცეცხლი აუცილებლათ იქნებაო. ამიტომ დიდი ბრიტანიის ნეიტრალიტეტის მისაღწევათ მან შემდეგი აზრი გამოსთქვა. მან სთქვა, რომ მას, ბეტმან-ჰოლვეგს, ძალიან კარგათ ესმის, რომ ინგლისი არ დათანხმდება საფრანგეთის განადგურებას, მაგრამ ეს უკანასკნელი არც შეადგენს გერმანიის მიზანსო. თუ ინგლისი ნეიტრალიტეტს დაპირდება, გერმანიის მთავრობა თანახმაა აღუთქვას ინგლისს, რომ გერმანია საფრანგეთის ერთ ნაჭერ მიწასაც არ მიისაკუთრებს, თუ მან გაიმარჯვა. მაშინ მე კანცლერს საფრანგეთის კოლონიების შესახებ შევეკითხე, რაზედაც მიპასუხა, რომ კოლონიების შესახებ მაგვარ აღთქმის მოცემა არ შემიძლიანო. რაც შეეხება ჰოლლანდიას, კანცლერმა მითხრა, ვიდრე გერმანიის მოპირდაპირენი დაიცავენ ჰოლლანდიის ნეიტრალიტეტს, გერმანიის მთავრობა მოვალედ ჩასთვლის თავის თავს იგივე ჰქნასო. საფრანგეთში საომარ ოპერაციების დაწყებისთვის, სთქვა კანცლერმა, გერმანია იძულებული იქნება ბელგიაში შევიდეს, მაგრამ თუ ბელგიამ გერმანიის წინააღმდეგ არ გაილაშქრა, ომის შემდეგ მისი ხელშეუხებლობა აღდგენილი იქნებაო.

17 ივლისს ინგლისმა დაუყონებლივ უარყო გერმანიის წინადადება. „ჩვენგან მოითხოვენ—სწერდა გრეი—რომ გულხელდაკრეფილნი ვიყოთ, როცა საფრანგეთს კოლონიებს ართმევენ. ასეთი წინადადება ყოვლად შეუწყნარებელია, რადგანაც, თუნდაც დაცულ იქნას საფრანგეთის ტერიტორიალური ხელშეუხებლობა ევროპაში, იგი დაჰკარგავს დიდ სახელმწიფოს ადგილს და გერმანიის ვასსალად შეიქმნება. კანცლერი წინადადებას გვაძლევს აგრეთვე ვაჭრობა გავმართოთ ბელგიის შესახებაც. ჩვენ ამასაც უარვყოფთ.

4 აგვისტოს სერ ედუარდ გრეიმ ბრიუსელში მყოფ ელჩის პირით შეატყობინაბელგიის მთავრობას, რომ თუ გერმანია ძალას დაატანს უკანასკნელს და ხელს აღებინებს ნეიტრალიტეტზე, ინგლისის მთავრობა იმედოვნებს, რომ ბელგია ყველანაირის საშუალებით გაუწევს წინააღმდეგობას.

იმავ დღეს ინგლისმა ულტიმატუმი გაუგზავნა გერმანიას ბელგიის შესახებ, რასაც ინგლის-გერმანიის ომი მოჰყვა.

# ქუთაისი

**ახალი ამბავი.**

◆ ქუთაისის ქალაქის მოურავმა ბ-მა ი. მ. ჩიქოვანმა თავად ვარლამ ლ. გელოვანისაგან, პეტერბურგიდან შემდეგი დეპეში მიიღო: „საუწყებათაშორისო კომისიამ მორატორიუმის შესახებ ყოველივე შუამდგომლობა უარყო“.

◆ ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეფისკოპოზი გიორგი ქალაქის გამგეობას სთხოვს, აცნობოს მას, იმ შემთხვევაში თუ ქალაქს სადორიაზე ქალაქის მახლობლათ მოეპოება საკმაო ადგილი, რომ მომავალი სასულიერო სემინარია მოთავსდესო. სამღვდელოებას ქუთაისში სემინარიისათვის თავისუფალი ადგილი კიდეც მოეპოვება საფირჩხიაზე ე. წ. „ხარაზოვის ბაღი“, მაგრამ ეს ადგილი უწმიდეს სინოდს უვარგისათ უცვნია.

◆ როგორც სოფ. სვირიდან გვატყობინებენ ღვინის მოსავალს წელს ცუდი პირი უჩანს. გლეხებმა ვაზს ორჯერ-სამჯერ უაქიმეს, მაგრამ დაიწვა. ამ უკანასკნელ ხანებში წვიმებმა შეწიფებული მარცვლები ძლიერ დააზიანა.

◆ გუშინ 19 აგვისტოს, თფილისს გაგზავნეს ერთი დაპატიმრებული ავსტრიელი.

◆ 18 აგვისტოს ოლქის სასამართლომ გაარჩია ვლადიმერ გაბუნიას და სხვების საქმე. ისინი ისჯებოდენ 1545 მუხლის ძალით. სასამართლომ ისინი დამნაშავეთ იცნო და თითოს ხუთ-ხუთი წლის კატორღა მიუსაჯა.

◆ ქალაქის ხმოსნების მომავალი არჩევნების უფლება ქ. ქუთაისში აქვს 890 ამომრჩეველს.

◆ როგორც შევიტყვეთ, ქ. ახალქალაქში 17 აგვისტოს დილის 6 საათზე სამჯერ ზედი-ზედ მიწის ძვრა მომხთარა. ასეთივე მიწის-ძვრა ღამის 3 საათზედაც გამეორდა.

◆ ქალაქის საბჭოს ჩვეულებრივი კრებები ქუთაისში 9 სეკტემბრიდან განახლდება

◆ ქალაქის სანიტარმა ვ. ბეჟანიშვილმა გეგუთის ქუჩაზე ოქმი შეუდგინა მეხეილ თოფჩიაშვილს სანიტარული წესის დარღვევისათვის.

◆ 22 აგვისტოს ოლქის სასამართლო გაარჩევს მელიტონ ხუსკივაძის, სერგო პრიხნენკოსა და სანდრო ვანიევის საქმეს.

◆ 28 აგვისტოს ვორონცოვის ქუჩაზე ,,პროვოდნიკის'' ამხანაგობის კანტორაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება გაბრიელ ბუზიაშვილის მოძრავი ქონება, რომელიც შეფასებულია 25 მანეთად.

◆ გუშინ 19 აგვისტოს, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მერვე კლასის ეგზამენები უკვე დასრულდა.

◆ 18 აგვისტოს ოლქის სასამართლოში გაირჩა დავით ჩხეიძის და სოლომონ გაგავას საქმე. სასამართლომ პირველს 3 წლის ციხე მიუსაჯა, მეორეს კი 2 თვისა.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა ცალკე წიგნაკათ და იყიდება გაზეთ ,,იმერეთის'' გამოცემა **„უბრალო ჭეშმარიტებანი“** ვ. ვაზიანისა. წიგნაკი 1 შაურათ ღირს.

# თფილისი.

— დახმარება მეომარ ოჯახებს. ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი და სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო კომისიის კრებამ მოიწონა აგრონომის თ-დ ს. რ. ვახვახიშვილის მოხსენება სარაიონო აგენტების შტატის შექმნის შესახებ, რომელნიც სოფლებში მოაწყობენ გლეხთა ოჯახების დამხმარე კომიტეტებს. კრებამ დაადგინა აგრეთვე, ქართულ სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებად სათავად-აზნაურო კომიტეტში აირჩიოს თ-დი ს. რ. ვახვახიშვილი და თ-დი ი. ლ. ჩერქეზიშვილი, ხოლო სარაიონო აგენტებად დანიშნოს შემდეგი პირნი: თ-დი ი. ლ. ჩერქეზიშვილი, თ-დი დ. ვ. ვაჩნაძე, გ. დ. მაჭარაშვილი, ე. ვ. კარბელაშვილი, გ. ს. ნახუცრიშვილი, დ. ს. გორთამაშვილი, ნ. მ. მაკარაშვილი, თ-დ გ. ზ. ჯავახიშვილი, ი. ზ. ქურდიანი, ი. ნ. ლომაური, თ-დი ს. მ. ჩოლოყაშვილი, ი. ნ. მესხიშვილი, თ-დი დ. ფავლენიშვილი და გ. დ. დაფქვიაშვილი.

— დახმარება მეომართა ოჯახებს. ქალაქის სააღმასრულებლო კომისიამ დღემდე შემდეგი შეწირულებანი მიიღო: უცნობისაგან—50 მ., ვ. მ. სულხანოვისაგან—25 მან. და შულიაცკის მოსამსახურეთაგან—6 მ. 37 კ.

ხარფუხის კლუბმა დაადგინა, ლოტოს შემოსავლიდან ერთი ნაწილი ომის საჭიროებისთვის გადასდოს. ფული გაეგზავნება: 2/3 სათავად-აზნაურო კომიტეტს, ხოლო 1/3—საქალაქო კომიტეტს.

მეომართა დამხმარე კომიტეტმა გუშინ ქალაქის გამგეობას გაუგზავნა ადგილობრივ ენებზე დაბეჭდილი მოწოდებანი ფულის შესაგროვებლად.

— თავად-აზნაურობის დეპუტატთა და წინამძღოლთა საკრებულოს მოსამსახურეებმა დაადგინეს, გადასდონ თავის ჯამაგირის 2 პროც. ომის საჭიროებისთვის. ფული გადაეცემა ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე სათავად-აზნაურო კომიტეტს.

— შემწეობა სამეურნეო სასწავლებლებს. მეფის მოადგილის საბჭომ მომავალ 1915—17 წლისთვის საერობო თანხიდან გადასდო თფ. საბაღოსნო სასწავლებლის შესანახად 28,000 მან. (აქ შედის ის ერთდროული 10,000 მან., რომელიც სკოლას წყლის მანქანის დასადგმელად მიეცა) და წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლას 9,000 მან.

— როგორც ქართულ სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებენ, 30 ივლისს სეტყვას შირაქში მეტად დიდი ზარალი მიუყენებია მცხოვრებთათვის. გაუნადგურებია მოსავალი ჭირნახული და ამოუხოცია საქონელი. ზარალი 20,000 მან. აღემატება.

— რადგანაც ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭომ დღემდე ვერ მოახერხა ხელშეკრულობის დადება თავად-აზნაურობასთან საკლუბო სადგომის შესახებ, ამიტომ კლუბის საგანგებო კრებამ 12 აგვისტოს დაავალა საბჭოს, შეადგინოს ცალკე კომისია და მასთან ერთად მოსძებნოს კლუბისთვის შესაფერი შენობა. სხვათა შორის, კრებაზე გამოითქვა ის აზრი, რომ შეაკეთონ სასულიერო სემინარიის ძველი შენობის ერთი ნაწილი და საკლუბო შენობად მოიხმარონ.

## ლ. ზუბალაშვილის უხვი შეწირულება.

შაბათს, 15 აგვისტოს, ომში გაწვეულ ჯარების დამხმარე თავად-აზნაურობის კომიტეტს კრება ჰქონდა, რომელზედაც მარშალმა თავ. კ. აფხაზმა კომიტეტის წევრებს ინსტრუკცია და მომავალ-მუშაობის გეგმა გააცნო. ამ კრებაზე კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა სთხოვა თავ. აფხაზს, წაეკითხათ ის დეპეშა, რომელიც გაეგზავნა ქველმოქმედ ლ. ზუბალაშვილს, მის უკანასკნელ უხვ შეწირულების გამო.

თავ. აფხაზმა კრების დამსწრეთ ლ. ზუბალაშვილთან გაგზავნილი დეპეშა წაუკითხა, რომლის შინაარსი შემდეგია:

„თქვენმა უმაგალითო-უხვმა შეწირულებამ ომის საჭიროებათათვის აღტაცებული გრძნობა გამოიწვია სიხარულისა ქართველ თავად-აზნაურობის შორის. ვამაყობთ თქვენის სახელით, ვამაყობთ თქვენგან შექმნილ დიდ ქველმოქმედის სახელით. ღმერთმა აკურთხოს მარჯვენა გამღებისა. პატივი და თაყვანის ცემა ჩვენს თანაწევრს ქართველ აზნაურს ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს. თფილ. გუბ. თავ. აზ. წინამძღ. თავ. **კ. აფხაზი**“.

იმავ დღეს ლ. ზუბალაშვილისგან შემდეგი დეპეშა მოვიდა.

„თავად-აზნაურობის თანაგრძნობა ჩემ შეწირულებისადმი განსაკუთრებით მიტომ მახარებს, რომ ჩემი მშობელი ხალხის გული, როგორც ჩემი გულიც, ერთად სიყვარულით ჰფეთქს საყვარელ მეფისა და ძვირფას სამშობლოსადმი. **ლევან ზუბალაშვილი**“.

## ბ. აბულაძის წერილის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ.)

გაზეთ „იმერეთის“ 17 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ აბულაძის წერილი, სადაც ის ფაქტების სრული გაადმახინჯებით სცდილობს ჩემს პიროვნებას შეეხოს. ამ გვარს ინსინუაციებით სავსე წერილს მე პასუხსაც არ გავსცემდი, მაგრამ რადგან ეს წერილი ქუთაისში დაიბეჭდა, მეტი გზა არ არის, ეს მცირე პასუხიც უნდა დაიწეროს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი აბულაძე თავის წერილში გვერდს უხვევს მთავარ ბრალდებას და ამის მაგივრად ტყვილებსა კადრულობს ჩვენი ფინანსიურ ურთიერთობის შესახებ. მე წამოვაყენე ფრიად გარკვეული ბრალდება ბ-ნ აბულაძის წინაამღდეგ, სახელდობრ, რომ მან „ვეფხის ტყაოსანზე“ ხელის მოწერა გამოაცხადა, მაგრამ მოუმზადებლობისა გამო ამ წიგნის გამოცემა ვერ შესძლო, რაც დაბეჭდა, ისიც იმდენად უვარგისი იყო, რომ თვითონვე მოსპო. ამავე დროს მეც ვბეჭდავდი სხვა სტამბაში სრულს ტექსტს ,,ვეფხის ტყაოსნისას“. ჩემი გამოცემის ტექსტის და სხვა შეკრებილ მასალების ხელში ჩასაგდებათ, ბ-ნ აბულაძემ წინადადება მომცა, რომ მის ხელის მომწერლებს ჩემი წიგნი დარიგებოდა, მხოლოდ ამ წიგნს მისი წერილიც უნდა დართოდა. მე დავთანხმდი, რადგან გამოცემის დასამთავრებელი ფული არ მქონდა. როდესაც ამ გვარად ბ-ნ აბულაძემ მოახერხა და ჩემი ტექსტი და მასალები ჩაიგდო, დაიწყო ცალკე ბეჭდვა წიგნისა და ექვსი თვის შემდეგ გამოუშვა კიდეც თუმცა ეს იმისი გამოცემა მთლად ჩემი გამოცემის მიხედვით არის დაწყობილი, რაც ცხადად სჩანს მცოდნე კაცისათვის ერთის თვალის გადავლებითაც. გარდა ამისა წინასიტყვაობის მთავარი ნაწილიც ჩემი წიგნის ცნობების მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ არსად ბ. აბულაძეს, წინაღმდეგ აღთქმისა, ჩემი წიგნი არ დაუსახელებია. ამნაირად ბ. აბულაძემ მიითვისა ჩემი მრავალხნოვანი შრომის ნაყოფი და თავისად გაასაღა. ამისი დამტკიცება მე ყოველთვის შემიძლია მოწმეების საშუალებითაც. ამ საკითხის გამოსარკვევად მე მრავალჯერ მივმართე ბ. აბულაძეს, გამოსულიყო სამედიატორო სასამართლოში, უკანასკნელ „თემის“ საშუალებითაც მივმართე, მაგრამ ის ამას გაურბის და ამის ნაცვლად უმჯობესად სთვლის ინსინუაციებისა და ტყუილების გავრცელებას. ეხლა კი მე გადავწყვიტე, ამ საქმეს ბოლომდი მივსდიო მით უმეტეს, რომ თუ ჩვენს მწერლობაში იმგვარი ეთიკა გაბატონდა ან თავის დაცვას მოახერხებს, როგორ ეთიკასაც ბ. აბულაძე ადგია, ეჭვს გარეშეა ყველა დამეთანხმება, რომ ყოველი პატიოსანი მუშაკი იძულებული იქნება, კალამი ხელიდან გაუშვას.

რადგან მთელი წერილი ბ. აბულაძისა უმთავრესად იმ ცრუ ბრალდებაზეა აშენებული, თითქოს მე გამოცემისათვის მიცემულ ფულს სხვა რამეზე ვხარჯავდი, ამიტომ ბ-ნ აბულაძის დასახასიათებლად სმკაოდ ვთვლი მოვიხსენო შემდეგი ფაქტი. როდესაც ბ. აბულაძემ მთხოვა და დამიამხანაგდა, პირობის თანახმად მას უნდა მოეცა ჩემთვის გამოცემის გასაგრძელებლად 400 მანეთი. მაგრამ მან არ მოინდომა ამ ფულის ხელის მოწერიდან შემოსულ თანხიდან მოცემა და გამომართვა 400 მან. ვექსილი, რომელიც დაახურდავა ბანკში. ამ ჩემი ვექსილით გამოტანილ ფულს მაძლევდა ბ. აბულაძე გამოცემისათვის საჭირო ხარჯის გასაწევად ნაწილ-ნაწილ, ყოველთვის დიდი დავიდარაბის შემდეგ და ისიც პირობა არ შეასრულა და სრულიად არ მომცა. ყოველ მოცემულ ფულისთვის კიდევ ახალ ვექსილს მართმევდა და მეც ვაძლევდი, რადგან მეგონა, საქმე ინტელიგენტ კაცთან მაქვს მეთქი. შემდეგ აიღო და ეს ვექსილები სასამართლოში წარადგინა და გადამახდევინა. ჩემი ბანკში დახურდავებული ვექსილი ბანკში იდევა ბოლო დრომდის და აქამდის არ დაუბრუნებია და არ ვიცი, რას აპირობს იმ ვექსილით. მე მგონია, ამ ფაქტს კომენტარიები არ ესაჭიროება.

უკანასკნელ ერთხელ კიდევ მივმართავ ბ. აბულაძეს წინადადებით, გამოვიდეს სამედიატორო სასამართლოში, რომელშიც უნდა გაარჩიოს „ვეფხის ტყაოსნის“ გამოცემასთან დაკავშირებული ყოველგვარი საკითხი და აგრეთვე მსჯავრი დასდოს ბ. აბულაძის წერილებს „თემსა“ და „იმერეთში“. ჩემის მხრივ მედიატორეები ამორჩეული მყავს უკვე ამ ოთხი თვის წინად. ვადას ვაძლევ ბ. აბულაძეს დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა ორ კვირას. ბ-ნ აბულაძის მედიატორეებმა უნდა მომმართონ ამ ადრესით: ტფილისი, ოლღას ქუჩა 4, სახლი დიასამიძისა. სასამართლოს განჩინება უნდა გამოქვეყნდეს თფილისსა და ქუთაისის ქართულ გაზეთებში.

უკეთუ ბ. აბულაძე ახლაც გაექცა სამედიატორო სასამართლოს, მაშინ მე მის წინააღმდეგ „ვეფხის ტყაოსნის“ გამოცემის გამო ბრალდებას აღვსძრავ ფორმალურ სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის ძალით, რადგან ამის შემდეგ ცერემონიობა ბ. აბულაძესთან ზედმეტად მიმაჩნია.

**სარგის კაკაბაძე.**

**წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოთ.**

ვინც 1 ენკენისთვემდე მთელი წლის გაზეთის ფასს არ შემოიტანს, 1 **ენკენისთვიდან გაზეთის გზავნა მოესპობა**, შემდეგ ფულის შემოტანისას დაკლებულ ნუმრებს რედაქციიდან ვერ მიიღებს. ვთხოვთ ადგილობრივ ხელის მომწერთ, რომ გაზეთის დამტარებლებს რედაქციის კუთვნილ ფულს ნუ გადასცემენ. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს არ ვაგებთ.

## გაზ. ,,შრომის“ თავის მართლების გამო.

(იხ. „შრომა“ № 25).

ბ. ვ. ბერიძის სამართლიან შენიშვნას, რომ „შრომა“ პროვინციაში გასაყიდ დეპეშებს რიცხვს უცვლიდა და მით განზრახვაში შეყავდა მკითხველი საზოგადოება, ძლიერ აუღელვებია გაზ. „შრომა“ და თავის მართლების მაგივრათ უდიერათ ლანძღავს თავის მოპირდაპირეთ.

აღნიშნულ ფაქტს იგი მაინც ვერ გაურბის და აღიარებს, რომ ასეთი შემთხვევა მართლაც იყოვო: მაგრამ თურმე ამის მიზეზი ყოფილა ის, რომ ,,დეპეშებზე რამოდენიმე კაცი მუშაობს'' და ის, რომ ,,გაზეთის ხელმძღვანელ რედაქციისთვის ძნელია ყველა დეპეშების ყოველთვის გადახედვა და იმის შემოწმება, თუ ვინ როგორ შეასრულა თავისი მოვალეობა''...

აქ მე, როგორც გარეშე პირი, არ გამოვუდგები იმის გარჩევას, თუ რამდენათ საფუძვლიანია რედაქციისათვის ასეთი თავის მართლება. მე მხოლოდ მსურს ავნიშნო ის სიყალბე, რომელსაც ხელმეორეთ სჩადის საზოგადოების წინაშე ,,შრომის'' რედაქცია, სახელდობრ: იგი ამბობს, რომ „გაზეთის ხელმძღვანელ რედაქციას“ არ შეეძლო თვალყურის დევნებაო, იმ დროს, როდესაც თვით ეს ,,ხელმძღვანელი რედაქცია'' გახლდათ ყოველივე მომხდარ ,,უბედურების'' მიზეზი, ე. ი. თვით ,,რედაქცია'' აცვლევინებდა რიცხვს მუშებს პროვინციაში გასაგზავნ დეპეშების დაბეჭვდის დროს. ეს კარგათ იციან, როგორც სტამბაში მომუშავეებმა, ისე დეპეშების იმ მყიდველებმა, რომელნიც რამოდენიმე საათით ადრე მოსულნი, სტამბაში უცდიდენ დეპეშების გამოსვლას და კარგად ესმოდათ, თუ რა ხდებოდა იქ.

ამ რიგათ, გაზ. ,,შრომამ'', იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადა საზოგადოების წინაშე, უფრო უარესად შესტოპა.

იმ გაზეთს, რომელიც ვითომდა მთელი მშრომელი კლასის ინტერესების დამცველათ გამოდის, არ შეჰფერის ასეთი სიყალბის ჩადენა და თანაც მოპირდაპირის წინაშე ასეთი უგვანო კილოთი თავის მართლება.

**აშოტ კურაპალატი.**

## ხმა სოფლიდან.

(სოფ. სეფიეთი. სენაკის მაზრა).

აუწერელია სოფ. სეფიეთის წრევანდელი მდგომარეობა! თავიდან ეტყობოდა, რომ მუდმივი წვიმების გამო სოფელში ცუდი მოსავალი იქნებოდა. სოფელი მხოლოთ მოსავალზე ფიქრობდა და უსათუოდ შიმშილობას მოელოდა, და ამის თავიდან ასაცილებლათ, მთელ ძალ-ღონეს ყანების მოვლას ანდომებდა.

ასეთ მდგომარეობაში იყო სოფელი, როდესაც ომიანობის გამო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს ხალხი. აქ აუწერელი სურათი წარმოგიდგებათ თვალწინ. არის ისეთი შემთხვევა, რომ ერთი ოჯახიდან სამი ვაჟკაცი წაიყვანეს შინ დარჩა მხოლოდ მოხუცებული დედა და მათი ცოლ-შვილი.

სამხედრო სამსახურში მიწვევის შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა, რომ აგვიწერეთ და წარმოგვიდგინეთ თუ ვინ განიცდის თქვენ სოფელში გაჭირვებასო. ეს ბრძანება მაშინათვე შეასრულეს მაგრამ დღემდის არ სჩანს. ამას იმიტომ ვამბობ რომ არიან ამ სოფელში ისეთი ოჯახები, რომელთაც არაფერი გააჩნიათ; შარშანდელი მოსული სიმიდი ქრისტეშობისთვემდინ შემოელიათ და მერე კი ნაყიდი სიმიდით რჩებოდენ, ხოლო ოჯახის პატრონის ომში წასვლის შემდეგ შიმშილით იხოცებიან.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები,
მიღებული და იყიდება
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დიპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

სოფლის ამ აუწერელ გაჭირვებას ზედ დაერთო წყალდიდობაც. 30 ივლისს ღამით, დიდი წვიმების გამო მდინარე აბაშა და ზანა რომელნიც ამ სოფელში გადიან და ერთმანეთისაგან ნახევარი ვერსით დაშორებული არიან ნაპირებიდან გადმოვიდენ, შეერთდენ და მთელი სოფელი წალეკეს. წარმოუდგენელია ის ზარალი, რომელიც მიაყენა ამ წყალდიდობამ სოფელს: რამდენიმე სახლი დაანგრია და წაიღო, სასიმინდეები, საქათმეები თავის ქათმებიანათ და სხვა მრავალი წვრილმანი შენობები წალეკა. 31 ივლისს მთელ სოფელში, არ იყო ისეთი ოჯახი, რომლის ეზოშიაც უკანასკნელი ერთი არშინის სიმაღლეზე არ მდგარიყოს წყალი. სურათი აუწერელია: ქალები თავიანთი შვილებით, ჭერზე გადებულ ხეზე იჯდენ და ძირს, სახლი კი წყლით იყო სავსე, წყალს სახლიდან გამოქონდა ხაბაკები, მაგრამ მშველელი არსად იყო.

მთელი სოფელი ტიალ მინდვრათაა გადაქცეული: არსად ლობეები, არსად ჰიშკრები, სიმინდი, უიმისოთაც ნაკლები, ხომ სრულიათ არ მოიპოვება, ზოგი ძირიანაა დათხრილი და წაღებული ვინ იცის სად, და ზოგიც მიწაზე დაწოლილი, მხოლოდ აგერ-ეგერ მოზდილი სახლები და ხეები მოსჩანს. ამ ტიალ მიდორზე დადიან ქალები და ბავშები და ეძებენ თავიანთ ხაბაკებს. მინდვრები სავსეა დამრჩვალი ცხენებით, ძროხებით, ხბოებით; დამრჩვალი ქათმები, ბატები და იხვები ხის ტოტებზეა გარჩენილი. წყალდიდობამ გასტანა 30 ივლისის ღამის 3 საათიდან 31—ის საღამოს 9 საათამდე.

როდის გამოგვიჩნდება პატრონი და ან ვინ დაგვეხმარება, ამისი კი არა ვიცით-რა...

პ. თ—ძე.

## დაბა-სოფელი.

**დ. სამტრედია.** როგორც ხმები დადის, აქაურ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ინსპეკტორი ბ-ნი ჩიკვაიძე სხვაგან გადაჰყავთ, მის ალაგას დროებით იქნება ამავე სკოლის ლვდელი ბ-ნი ივანიცკი. ბ-ნი ჩიკვაიძე სკოლის დაარსების დღიდან ენერგიულათ ასრულებდა თავის მოვალეობას და ეჭვი არაა მისი აქედან გადაყვანა საზოგადოებას დაალონებს.

აქაური საურთიერთო ბანკი გადმოიტანეს ახალ შენობაში ბ-ნ სიხარულიძის სახლის ზევით სართულში.

სამტრედიის მთელი ცხოვრება მოდუნებულია. მას შემდეგ, რაც მობილიზაცია გამოაცხადეს, ყველაფერი მიყუჩდა. წარმოდგენების მართვაზე ხომ სულ აიღეს ხელი, არც არავინ ფიქრობს მომავალ სეზონზე. კარგს ინებებს წარმოდგენების აქაური მმართველი წრე რეჟისორათ მოიწვევდეს კ. კობახიძეს და ადგილობრივ სცენ. მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენებ კამართავდეს ხოლმე დრო გამოშვებით მაინც.

—აქაურ ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არაა აქვს, დღიდან მობილიზაციის გამოცხადებისა ისე გააძვირეს სანოვაგე, რომ მეტი არ შეიძლება. ძალიან ენერგიულათ დასდევს მათ აქაური ბოქაული ბ-ნი მაჭავარიანი და უყენებს ოქმებს.

—ძალიან ცუდათაა, აგრეთვე, დაყენებული მკურნალობის საქმე. აქაური ექიმები, ბ-ნი რ. ნანეიშვილი და ს. წერეთელი, სათადარიგო ჯარში გაიწვიეს. დარჩა ექიმი ილია ჯაში და ფერშალი კალანდაძე, რომლებიც, რასაკვირველია, ყველას ვერ გასწვდებიან.

სან-კანი.

—

**სოფელი** უწერა (ზემო რაჭა). ბუნებრივ სხვა სიმდიდრესთან ერთად ეს სოფელი შესანიშნავია სამკურნალო წყლებით: აქ არის რკინის წყალი და მჟავე წყალი. ეს მჟავე წყალი შველის კუჭის ტკივილს. მაგრამ აქ მოსულ ავათმყოფების დიდმა ნაწილმა არ იცის, როდის და რამდენი მიიღოს ეს წყალი, ამიტომ ხშირად ისინი მორჩენის მაგივრად, უფრო ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან. მეტად მავნებელი ყოფილა ამ წყლის ხმარების დროს ღვინის სმა.

აქ წყლის მიღება დღეში ორჯერ ხდება: დილას და საღამოს; ჯერ განსაზღვრულ საათებში ბოთლებს ავსებენ სახლში სახმარებლათ (ერთი ბორჯ. ბოთლი 3 კაპ. ღირს), შემდეგ კი იქვე სვამენ. ამისათვის ყოველ დილას ბილეთს ყიდულობენ, რომელიც 6 კაპ. ღირს. ზოგი ავათმყოფი ცდილობს ამ ფასში რაც შეიძლება ბევრი წყალი დალიოს, რადგან ეს მოგებად მიაჩნია; არიან ისეთი მსმელები, რომელნიც დღის განმავლობაში 20—30 ჩაის ჭიქა წყალს სმენ; ასე უზომოდ წყლის მიღება არც კუჭს უხდება და კიდევ სხვა ავათმყოფობას იწვევს. საჭიროა მჟავე წყლის გამგემ შემდეგისათვის მაინც გამოაკრას და გაავრცელოს ხალხში ექიმისაგან შედგენილი დარიგება ამ წყლის მიღების შესახებ. საჭიროა აგრეთვე, რომ აქ კვირაში ორჯერ მაინც მოდიოდეს დ. ონის ექიმი.

რაც შეეხება სანოვაგეს და ბინებს, ამაზე აქ სამდურავი არ ითქმის. საყვედურის ღირსია ზოგი მეეტლე, რომელიც უზრდელად ეპყრობა მგზავრებს და რვა ადგილიან დილიჟანზე თორმეტს (ხან მეტს) კაცს იყვანო. ამ მეეტლეების წყალობით მგზავრები ბევრს უსიამოვნობას განიცდიან ხოლმე.

ბულბული.

### ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

პატივცემულო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ მეც, როგორც ერთ მკითხველთაგანს გაზ. „შრომის“ მიერ გამოცემულ დეპეშებისა, გამოვსთქვა ჩემი გულისწყრომა ამ რედაქციის საქციელის შესახებ: აშკარათ უნდა ვალიარო, რომ რედაქციას მიუღია თავის თავზე დეპეშების გამოცემა არა ხალხის სამსახურისათვის, არამედ თავისი დახლის შესავსებათ, რაშიაც დამარწმუნა ყოველდღე, როგორც რუსულის, ისე ქართულის ნათარგმნის მათი დეპეშების კითხვამ. რომ ვაჭრული ანგარიშებით ხელმძღვანელობს რედაქცია, ამას ადასტურებს მისი აჩქარება და შეუსწორებელი მრავალი კორექტურული, შეცდომებით სავსე შინაარსიანი დეპეშების გამოშვება, აგრეთვე თავის შეხედულებისადაგვარათ შემოკლება და ამით მკითხველის მოტყუილება. ერთი სიტყვით, რედაქცია რაც შეიძლება ცდილობს მალე ბაზარზე გასაყიდათ გამოიტანოს.

ახლა თარგმანს აღარ იკითხავთ? ეს რაღაც ახალი მიმართულების ხანის დაწყება უნდა იყოს ჩვენს ლიტერატურაში. ღმერთო შეგცოდე, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ გადაათვალიერეთ ჩემ მიერ ამასწინათ წარმოდგენილი მათი დეპეშები და დარწმუნდებით. რუსული დედანი ქართულს არ შეესაბამება, თითქოს სიტყვა-კაზმული თარგმანი იყოს უცხო ენისა, ისთე თავის ნებაზე სთარგმნიან, რომ ხანდახან აზრიც იკარგება. ნეტა ვიცოდეთ, რომელი ლექსიკონით ხელმძღვანელობს! შეიძლება საკუთარი ლექსიკონი შექმნეს!. ახლა იმდენათ უყურადღებოთ იქცევიან, რომ ერთ დეპეშაში არ არის სრულათ მოქცეული ერთად რუსული და ქართული. ხან ქართული მეტია და ხან რუსული, როგორც მოეპრიანებათ, თითქოს ერთი მეორეს თარგმანი კი არ იყოს, არამედ სხვადასხვა სატელეგრაფოს სააგენტოსაგან მიღებული დეპეშები იყოს. ჩემის ფიქრით, ამას საჭიროა მკითხველმა საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება, თორემ ყოველ დღე ორჯერ თითო შაურის გადახდა და ასეთი უშინაარსო დეპეშების ყიდვა, ცოტა არ იყოს, არა სასიამოვნოა*).

ლეირატი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს არა მარტო იმისთვის, რომ ხაშუალება მიეცეს მკითხველს თავისი აზრი გამოსთქვას ამა თუ იმ ლიტერატურულ მოვლენაზე. თუ დეპეშების თარგმნა ლიტერატურულ მოვლენათ ჩაითვლება რასაკვირველია, ვბეჭდავთ იმიტომაც, რომ გავაბათილოთ გუშინდელი ლათაიები ეგრედწოდებულ გაზეთ „შრომისა“, ჩვენ შესახებ წამოსროლილი (იხილეთ „შრომა“). რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.




სამოსწავლო მთავრობის ნებართვით
ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,
მე-3 ხარისხის მოსამზადებელ
სასწავლებელს
ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.
ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.
ნინო მათეს ასული
ხოჭოლავასი.

შექსპირი ქართულად!
გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.
მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ
შექსპირის
რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** c შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს--1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.
წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

მინადორა დუნდუას
ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,
გადავიდა
ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ.—2 საათ.

## მოწოდება.
### ქუთაისის ქალაქის მოურავისა

მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავზე. ღვთის რისხვად მოევლინა ქვეყნიერებას ომი, ისეთივე საზარელი, როგორც ჟამი, მიწის ძვრა და წარღვნა. თავისუფალი, მშვიდობიანი ცხოვრების დენა ერთიანად დაირღვა, აირია.

ჩვენი პატარა ქვეყანა, ისედაც სუსტი და გაჭირვებული, ომიანობის დროშ უკიდურესს მდგომარეობაში ჩააყენა.

ჩვენს გალატაკებულს ოჯახებს ომიანობამ მოგლიჯა გულიდან ერთად-ერთი მისი მარჩენალი, მისი ჭირისუფალი.

ჯარის კაცებათ ომში გაწვეული ჩვენი ძმები და შვილები სისხლს ანთხევენ მშვიდობიანობის, ჩვენი არსებობის დასაცავად. ასეთი ფასდაუდებელი მსხვერპლი ჩვენგანაც მოითხოვს შესაფერ მსხვერპლს.

საძრახისი, სამარცხვინო იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენი უყურადღებობის მიზეზით დაიმშეს ცოლ-შვილი და დედ-მამა ანაბარად მიტოვებულ ომში გაწვეულ ჯარის კაცებისა.

მოქალაქენო! თქვენთვის თავდადებული მოძმეთა ოჯახები მოითხოვენ თქვენგან ნივთიერ დახმარებას და თქვენც დაუყონებლივ უნდა აღმოუჩინოთ იგი.

მიეშველენით, რითაც შეგიძლიათ: ფულით, ნივთით, საქონლით, სანოვაგით; შეწირულების სიმცირეს ნუ მოერიდებით, ყველაფერი მადლობით მიიღება, მხოლოდ უპირატესობა ეძლევა ფულის შეწირვას.

საქონელთაგან სასურველია შემოიწიროს: კაცის უხმარი თეთრეული, საბანი, ფუფაიკა, ყაბალახი, ტილო, მიტკალი, ცხვირსახოცი, წუღები, წინდები და სხვ.

სანოვაგეთაგან: ჩაი, შაქარი, კონიაკი, ღვინო, კონსერვი, გალეტი, სუხარი, კრუპა, შოკოლადი, კაკაო, საპონი, თუთუნი, პაპიროსი, გიდროსკოპიული ბამბა, მარლე, ტერმომეტრები და სხვ. ისეთი სანოვაგე, რომელიც მალე ფუჭდება, არ მიიღება.

შეწირულება უნდა გამოეგზავნოს ქუთაისის ქალაქის გამგეობაში განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც მოქმედობს ჩემის თავმჯდომარეობით.

შემწირველთა ვინაობა და შეწირულების რაოდენობა დაუყონებლივ გამოცხადდება გაზეთში.

ქუთაისის ქალაქის მოურავი **ილ. ჩიქოვანი.**

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის აბანო,
რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.
ზემოხსენებული კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.
პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

მ უ შ ა ო ბ ს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ჟორჟოლაძეების
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო აბანო.
აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“.

ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.
კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.